

შპს როსტერ

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	3
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	4
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება.....	4
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.....	5
1. ზოგადი ინფორმაცია	5
2. მომზადების საფუძველი.....	5
3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	7
4. ფული და ფულის ექვივალენტები	11
5. მარაგები	11
6. ძირითადი საშუალებები.....	11
7. გრძელვადიანი სესხები	12
8. შემოსავალი რეალიზაციიდან	12
9. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	12
10. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	13
11. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	13

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

საბალანსო ანგარიშგება		31/12/2021	31/12/2020	31/12/2019
		(გადაანგარიშებული)		
მოკლევადიანი აქტივები	შენიშვნა			
ფული და ფულის ექვივალენტები	4	1,370,286	961,356	796,899
სავაჭრო მოთხოვნები		3,892,691	1,434,501	257,432
მარაგები	5	3,249,219	1,756,896	1,756,201
გადახდილი ავანსები და სხვა აქტივები		225	17,092	74,729
სულ მოკლევადიანი აქტივები		8,512,421	4,169,845	2,885,261
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	6	2,293,659	2,230,968	2,142,436
არამატერიალური აქტივები		-	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		2,293,659	2,230,968	2,142,436
სულ აქტივები		10,806,080	6,400,813	5,027,697
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები		681,530	102,871	1,136,612
მოკლევადიანი სესხები		-	564,417	-
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		150,925	153	213,214
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		832,455	667,441	1,349,826
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	7	1,200,000	39,459	511,118
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1,200,000	39,459	511,118
სულ ვალდებულებები		2,032,455	706,900	1,860,944
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		350,000	350,000	350,000
გაუნაწილებელი მოგება		8,423,625	5,343,913	2,816,753
სულ საკუთარი კაპიტალი		8,773,625	5,693,913	3,166,753
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		10,806,080	6,400,813	5,027,697

დირექტორი -----

ჯაბა პაპიძე

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-12-21	31-12-20
შემოსავალი რეალიზაციიდან	8	45,937,339	35,379,781
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	9	(41,815,949)	(30,491,328)
საერთო მოგება		4,121,390	4,888,453
ხელფასები და სხვა სარგებელი		(442,434)	(1,382,644)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები		(612,083)	(933,539)
მოგება პროცენტებამდე და საკურსო სხვაობამდე		3,066,873	2,572,270
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		5,352	(10,714)
მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან		7,487	(34,396)
მოგება დაბეგვრამდე		3,079,712	2,527,160
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		3,079,712	2,527,160

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება	31/12/2021	31/12/2020	31/12/2019
ნაშთი წლის დასაწყისში	5,693,913	3,166,753	350,000
წმინდა მოგება	3,079,712	2,527,160	2,816,753
ნაშთი წლის ბოლოს	8,773,625	5,693,913	3,166,753

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს როსტერი დაფუძნდა 2009 წელს და რეგისტრირებულია მისამართზე: გარდაბანი, სოფ. თელეთი. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია: 226579921. კომპანიის მფლობელია შემდეგი ფიზიკური პირი:

ჯაბა პაპიძე (პ/ნ 01016004437) – 100%

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საბითუმო ვაჭრობა მარცვლეულით, დაუმუშავებელი თამბაქოთი, თესლებით და ცხოველების საკვებით. იგი საკუთარ საქმიანობას აწარმოებს წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიას მართავს პარტნიორთა კრების მიერ დანიშნული დირექტორი ჯაბა პაპიძე (პ/ნ 31001040497), რომელიც აგრეთვე არის კომპანიის 100% წილის მფლობელიც.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განაგრძონ მისი საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისთვის.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.

2021 წელს კომპანიამ ჩაატარა საწყისი ნაშთების, მათ შორის არამონეტარული და მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია. შედეგად კომპანიამ გადაიანგარიშა და დააკორექტირა საწყისი ნაშთები. გარდა ამისა, უკეთესი პრეზენტაციის მიზნით, კომპანიამ მოახდინა გარკვეულ ანგარიშებს შორის ნაშთების გადაკლასიფიცირება. ის ფინანსური უწყისები რომლებიც გადაანგარიშდა, მონიშნულ იქნა „გადაანგარიშებული“-ს კლასიფიკაციით. შედეგად, მსს ფასს-ის შესაბამისად, კომპანიამ წარმოადგინა სამი წლის საბალანსო უწყისი. გარდა ამისა, შედარებისთვის, მსს ფასს-ის შესაბამისად, კომპანიამ ასევე წარმოადგინა გასულ პერიოდში გამოქვეყნებული ფინანსური უწყისები, რომელთა გადაანგარიშებაც მოხდა მიმდინარე პერიოდში:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (გადაანგარიშებამდე):

აქტივები	31-12-20	31-12-19
ფული და ფულის ექვივალენტები	534,627	796,899
სავაჭრო მოთხოვნები	1,434,501	257,432
გაცემული ავანსები	19,321	74,729
მარაგები	3,206,824	1,756,201
სულ მოკლევადიანი აქტივები	5,195,273	2,885,261
ძირითადი საშუალებები	1,205,540	2,142,436
სულ გრძელვადიანი აქტივები	1,205,540	2,142,436
მთლიანი აქტივები	6,400,813	5,027,697
ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	102,871	1,136,612
მიღებული ავანსები	-	26,720
საგადასახადო ვალდებულებები	-	145,543
გადასახდელი ხელფასები	153	40,951
მოკლევადიანი სესხები	564,417	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	667,441	1,349,826
გრძელვადიანი სესხები	39,459	511,118
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	39,459	511,118
მთლიანი ვალდებულებები	706,900	1,860,944
საკუთარი კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	350,000	350,000
გაუნაწილებელი მოგება	5,343,913	2,816,753
სულ საკუთარი კაპიტალი	5,693,913	3,166,753
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები	6,400,813	5,027,697

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება (გადაანგარიშებამდე):

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარი	350,000	1,439,265	1,789,265
წმინდა მოგება	-	1,377,488	1,377,488
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერი	350,000	2,816,753	3,166,753
წმინდა მოგება	-	2,527,160	2,527,160
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერი	350,000	5,343,913	5,693,913

3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

3.1 ვალუტა

კომპანია ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფუნქციონალურ და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. აქედან გამომდინარე წინამდებარე ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივების და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგებისა და ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში. 2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსები შემდეგია:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2020 წლის 31 დეკემბერი	3.2766	4.0233
2021 წლის 31 დეკემბერი	3.0976	3.5040

3.2 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითადი საშუალებების აღრიცხვას ახორციელებს მსს ფასს-ის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობების და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და

ადგილმდებარეობის აღდგენასთან. რაც შეეხება მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ძირითადი საშუალებების ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობებს ცვეთა არ ერიცხება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება. რაც შეეხება ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს, შემდეგია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
შენობა-ნაგებობები	30
მანქანა-დანადგარები	5-10
ოფისის აღჭურვილობა	2-8
სატრანსპორტო საშუალებები	5-10
ავეჯი და სხვა ინვენტარი	2-8

აქტივების მომსახურების ვადის დადგენისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: 1. საწარმოს მიერ აქტივის მოსალოდნელი გამოყენების რეჟიმი; 2. სავარაუდო ფიზიკური ცვეთა, რომელიც დამოკიდებულია სხვადასხვა საწარმოო ფაქტორებზე; 3. ტექნიკური ან კომერციული მოძველება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს კომპანიაში არსებული პროცესების მოსალოდნელი ცვლილებებით ან გაუმჯობესებით; 4. აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები.

საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარება უნდა შეწყვიტოს მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც გამოყენებიდან და გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი უნდა ასახოს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა. საწარმომ ამ სახის შემოსულობას არ უნდა მიაწიოს ამონაგების კლასიფიკაცია.

3.3 მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილებები შეეხო მოგების გადასახადის გაანგარიშებისა და წარდგენის წესს. ამოქმედდა მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი მოდელი, რომლის შემოღების მიზანი იყო გადასახადების ადმინისტრირების გამარტივება, ბიზნესის განვითარება და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა.

ძირითად სიახლეს წარმოადგენს საწარმოთა მოგების დაბეგვრის გადავადება იმ დრომდე, სანამ არ მოხდება მოგების განაწილება, მაშინ, როცა ძველი მოდელის მიხედვით, კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით.

მოგების გადასახადის 15 პროცენტის განაკვეთი უცვლელი დარჩა, თუმცა, ტექნიკურად, გადასახადი გაანგარიშდება დასაბეგრი განაცემის თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით.

დაბეგვრის ახალი მოდელი ეხება ყველა საწარმოს, გარდა კომერციული ბანკებისა, სადაზღვევო და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, საკრედიტო კავშირებისა, ლომბარდებისა, “ნავთობისა და გაზის შესახებ” კანონით დადგენილი შესაბამისი საწარმოებისა და სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი ტოტალიზატორებისა.

3.4 მარაგები.

მარაგი ისეთი აქტივია, რომელიც: ა) გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში; ბ) მონაწილეობს ამგვარი გაყიდვისათვის გამიზნული მარაგის წარმოების პროცესში; გ) წარმოადგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომელიც განკუთვნილია წარმოების პროცესში მოხმარებისათვის ან მომსახურების გასაწევად.

მარაგის შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარელიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ნეტო სარელიზაციო ღირებულება არის წმინდა თანხა, რომლის მიღებასაც საწარმო მოელის ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში მარაგის გაყიდვის შემდეგ.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს: მათ შემენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს, აგრეთვე დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მისი მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

მარაგის თვითღირებულებაში არ ჩაირთვება შემდეგი დანახარჯები: ა) ნედლეულისა და მასალების ზენორმატიული დანახარჯები; ბ) მარაგის შენახვის დანახარჯები, იმ დანახარჯების გარდა, რომელთა გაწევა აუცილებელია საწარმოო პროცესის ერთი სტადიიდან მომდევნო სტადიაზე გადასასვლელად; გ) ზედნადები ადმინისტრაციული ხარჯები; დ) გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები.

თვითღირებულების გაანგარიშებისთვის კომპანიას არჩეული აქვს საშუალო შეწონილი მეთოდი. კომპანიის მარაგების უდიდეს ნაწილს წარმოადგენს მასალები და ნედლეული, რომელიც გამოიყენება ძირითად საქმიანობაში და ჩამოწერის დროს შეადგენს თვითღირებულების ნაწილს.

3.5 შემოსავალი რეალიზაციიდან

საწარმომ შემოსავალი უნდა შეაფასოს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან უნდა გამოიქვითოს საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდისა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

როდესაც ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების შემოსვლა საწარმოში გადავადებულია და შეთანხმება თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ანაზღაურების რეალური ღირებულება არის მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

ამონაგები არ აღიარდება, როდესაც საქონელი და მომსახურება იცვლება ანალოგიური ბუნებისა და ღირებულების მქონე საქონელსა და მომსახურებაზე ან საქონელი ან მომსახურება იცვლება სხვა სახის ან ღირებულების საქონელზე ან მომსახურებაზე, მაგრამ ოპერაციას არ გააჩნია კომერციული შინაარსი.

3.6 ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი გულისხმობს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას, დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოებად (შრომის ანაზღაურება და წლიური ბონუსები) ითვლება ის გასამრჯელოები, რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა მომსახურება გასწია. საწარმომ დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი უნდა აღიაროს, როგორც ვალდებულება და როგორც პერიოდის ხარჯი.

3.7 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს პერსონალის, იჯარის, კომუნალურ, სამეურნეო და იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც საჭიროა კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

4. ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიას ფულადი სახსრები განთავსებული აქვს საბანკო ანგარიშებზე და საღაროში.

2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები:

ფული და ფულის ექვივალენტები	31-12-21	31-12-20
ნაღდი ფული საღაროში	720,757	566,718
ფული საბანკო ანგარიშებზე	649,529	394,638
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	1,370,286	961,356

5. მარაგები

კომპანიას გააჩნია როგორც მზა პროდუქცია, ასევე ნედლეული და მასალები.

2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები:

მარაგები	31-12-21	31-12-20
ნედლეული და მასალები	2,887,553	1,403,619
მზა პროდუქცია	361,666	353,277
სულ მარაგები	3,249,219	1,756,896

6. ძირითადი საშუალებები

2021 წლის მოძრაობა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ისტორიული ღირებულება	ისტორიული ღირებულება, 1 იანვარი	დამატება	ისტორიული ღირებულება, 31 დეკემბერი
შენობა-ნაგებობები	981,096	85,307	1,066,403
მანქანა-დანადგარები	492,868	117,979	610,847
ოფისის აღჭურვილობა	28,481	7,930	36,411
სატრანსპორტო საშუალებები	1,402,106	142,385	1,544,491
ავეჯი და სხვა ინვენტარი	7,301	4,407	11,708
სულ	2,911,852	358,008	3,269,860

დაგროვილი ცვთა	ისტორიული ღირებულება, 1 იანვარი	ცვთის ხარჯი	ისტორიული ღირებულება, 31 დეკემბერი
შენობა-ნაგებობები	106,945	47,517	154,462
მანქანა-დანადგარები	146,920	26,012	172,932
ოფისის აღჭურვილობა	5,362	5,157	10,519
სატრანსპორტო საშუალებები	421,318	216,164	637,482
ავეჯი და სხვა ინვენტარი	339	467	806
სულ	680,884	295,317	976,201

7. გრძელვადიანი სესხები

კომპანიას საოპერაციო საქმიანობის დასაფინანსებლად აღებული აქვს სესხები ქართული კომერციული ბანკისგან. საშუალო ეფექტური საპროცენტო განაკვეთია წლიური 12.55%.

8. შემოსავალი რეალიზაციიდან

კომპანიის შემოსავალი აქვს შემდეგი საქმიანობებიდან: შინაური ცხოველებით და შინაური ცხოველების საკვებით სპეციალიზებულ მაღაზიებში ვაჭრობა, საცალო ვაჭრობა ხორციით და ხორცის პროდუქტებით სპეციალიზებულ მაღაზიებში, საცალო ვაჭრობა ხილით და ბოსტნეულით და ფრინველის მოშენება.

2021 წელს კომპანიამ მნიშვნელოვნად გაზარდა შემოსავალი, რაც ძირითადად განპირობებული იყო კომპანიის ბრენდის ბაზარზე ცნობადობის ამაღლებით.

9. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

კომპანია ახდენს ნედლეულის იმპორტს, რის შემდეგაც ხდება ნედლეულის გადამამუშავება და ცხოველების საკვები პროდუქტების წარმოება. წარმოება ხორციელდება როგორც საკუთარი ძალებით ასევე ქვეკონტრაქტორი კომპანიის დახმარებით. აღნიშნული ნედლეულის ხარჯში აღიარება ხდება შემოსავლის დარიცხვის შესაბამის პერიოდში, შესატყვისობის პრინციპის თანახმად.

10. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

2020 წელს მენეჯმენტზე დარიცხულმა კომპენსაციამ შეადგინა ჯამურად 288,770 ლარი, ხოლო 2021 წელს 408,559 ლარი.

11. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებში აღნიშვნას ან მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას.